№ 225 ოქტომბერი 20, ოთხშაბათი 1893 ოქტომბერი 20, ოთხშაბათი № 225

# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია 'ში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვ ძმების პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1893

ხვალ, ხუთშაბათს, 21 ოქტომბერს, დილის 10 საათზე გადახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის **ლუკა სტეფანესძის ისარლიშვილისა** რომის-კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში, რომელიც იმყოფება შუა-ბაზარში. შვილნი მისნი: მარიამ ლუკას ასული და იოსებ ლუკას ძე აუწყებენ ამას ნათესავთა და ნაცნობთა. (1—1021—1)

## ტფილისი, 19 ოქტომბერი.

—

თამბაქოს მომყვანთა ჩვენში შეგვიძლია შევატყობინოთ დღეს ერთი სასიამოვნო ამბავი.

ამიერითგან შესაძლებელი იქნება პატრონებმა თამბაქოს დაგირაბით ფული აიღონ სახელმწიფო ბანკიდგან სესხად და ამ სახით გადაარჩინონ თამბაქო ჩალის ფასად გაყიდვას.

ყოველის წარმოებისათვის საჭირო არის ერთი გროდენობა ფულისა, რომელიც, უსათუოდ, წინ და წინ გადებული უნდა იქნას, რომ შემდეგში დანახარჯი კაპიტალი დიდის სარგებლით დაუბრუნდეს პატრონს.

ჩვენდა საუბედუროდ, ასეთი თავისუფალი კაპიტალი ქართველს კაცს არაოდეს არ მოეძებნება. ამიტომ, როდესაც განვიზრახავთ, რომელსამე გამოსადეგ სარგებლიან საქმეს ხელი მოვკიდოთ, ერთი რამ გვემართება: ან ფული მამასისხლად უნდა ვისესხოთ და იმ სიდიდე პროცენტი გადავიხადოთ, რომელსაც არავითარი საქმე არ აიტანს, ან და მოწევისათანავე ნაწარმოები ხელიდგან უნდა გავიცალოთ და იძულებული შევიქნეთ იმ ფასს დავთანხმდეთ, რასაც დადარაჯებული ჩარჩები შემოგვაძლევენ.

ამიტომ, სანამდის მამულის პატრონს არ ექნება საშვალება ან თავის საკუთარის ღონით დაიმუშაოს ადგილი და მოიწიოს მოსავალი, ანა და შეეძლება იცადოს იმ დრომდე, სანამდის ნამდვილს ფასს მისცემენ—მანამდის ჩვენთა მიწათ მოქმედთა საქმე კარგად ვერ წავა.

ამ უკანასკნელ დროს მთავრობა თანდათან სცდილობს შეუმსუბუქოს მწარმოებელთ მდგომარეობა—მისცეს იაფი კრედიტი და ააშოროს ფულის ვაჭართა სიხარბეს, რომელნიც სათესურშივე უთხრიან ძირს ყოველს ახალს, ყოველს ქვეყნის სასიკეთო საქმეს.

ასეთ მდგომარეობაშია ჩვენში თამბაქოს წარმოებაც.

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში მრავალგან მოდის კარგის და ჩინებულის ღირსების თამბაქო და ეს დარგი წარმოებისა შესაძლებელი იყო გამხდარიყო დიდად გამოსადეგ და სახეირო საქმედ. მაგრამ, როგორც ზევითა ვსთქვით, მეოჯახეთა ძნელ და გაჭირვებულ მდგომარეობის გამო მოსავლის მოწევისათანავე გვინდა ფული ავიღოთ, რადგანაც მოცდის ღონე არა გვაქვს.

მაგრამ ეხლა, როდესაც თამბაქოს მეპატრონეთა შეეძლებათ დააგვიანონ თავის ნაწარმოების გაყიდვა, რადგანაც სახელმწიფო ბანკიდგან გატანილი კრედიტი საკმაო დროს მისცემს, რომ ხეირიანად დააბინაონ თამბაქო, ამის შემდეგ ჩვენ იმედი გვაქვს, ეს დარგი ჩვენის ოჯახობისა აღარ იქნება ისე დაბრკოლებული და მთლად დამოკიდებული იმ რამდენისამე აგენტისაგან, რომელნიც კანონმდებელნიც არიან და აღმასრულებელნიც.

რა ზომამდე დასაფასებელია და საჭირო ეს განკარგულება, მეთამბაქოვეთათვის, ამას კარგათ იგრძნობენ ისინი, ვისაც თამბაქო მოჰყავთ.

ამ რამდენისამე წლის წინად დასავლეთ საქართველოში ძალიან დიდის ხალისითა და გულმოდგინეებით შეუდგნენ თამბაქოს მოყვანას, რადგანაც თამბაქო ერთს ქცევაზე წმინდა შემოსავალს ერთი ხუთად მეტს აძლევს პატრონს, ვიდრე სიმინდი ან პური.

მაგრამ, როდესაც ვაჭრებმა შეამჩნიეს, რომ დიდძალ თამბაქოს მოყვანა დაიწყეს, და თამბაქოს პატრონებს ცდა აღარ შეეძლოთ, იმ წამსვე ფუთი 8 და 10 მანათიდგან ოთხსა და სამ მანეთზე დააყენეს ფასი.

ზოგი პატრონი თამბაქოსი იძულებული იყო ჩარჩების ფასს დასთანხმებოდა და რომელნიც გაუჯიუტდნენ, იმათ სულ აღარა აუ- ... რადგანაც ზოგს დაიბნა და ზოგს სულაც გაუფუჭდა. ცხადია, ამ გვარი უნებური და მოუნებრივი დამოკიდებულება რამდენისამე ვაჭრის სურვილისა ვერ მიანიჭებდა ჩვენს თამბაქოს წარმოებას დიდ წარმატებას და ეს საქმე ნელ-ნელა ისპობოდა.

ეხლა-კი, საიმედოა რომ მრავალი ადგილის პატრონი მოჰკიდებს ამ სასარგებლო საქმეს ხელს რადგანაც სრულიად უშიშრად შეეძლება, იცადოს იმ დრომდე, სანამდის ხეირიან ფასს აიღებს.

მეველე

## ახალი ამბავი

—

*** ორშაბათს, 18 ოქტომბერს, კრება იყო ქალაქის საბჭოსი. კრებამ მოისმინა თერთმეტი საქმე. მათში საყურადღებო იყო სარჩიელი ხმ. ავთანდილოვისა შესახებ ცუდის ყოფა-ქცევის ქალებისა და მოხსენება გამგეობის თამამშოვის ქარვასლის თაობაზედ. სარჩიელი ავთანდილოვისა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ცუდის ყოფა-ქცევის ქალებს ვერ უყურებენ სათანადოთ ვერც საპოლიციო ექიმები მთავრობისა და ვერც პოლიცია, რის გამოც ეს ქალები თვითონაც ავად ხდებიან სხვა-და-სხვა გადამდებ სენით და ხალხშიაცავრცელებენ ამ სენს. კარგად მოიქცევა ქალაქი, სთქვა ავთანდილოვმა—უკეთუ ზედამხედველობას თითონ იკისრებდა და გაანთავისუფლებდა მთავრობის ექიმებს, რომელთაც ბევრი საქმე აქვთ სასამართლო, გამოძიებისა და ვერ დაუჭერიათ თვალი შესაფერადაო. ამასთანავე კარგი იქნებოდა, რომ ქალაქის თვით-მმართველობას გაემართა ქალების სამკურნალოსთან კაცების სამკურნალოცაო. ამ სარჩიელმა გამოიწვია დიდი ბაასი საბჭოში. თვით მოხსენება მოიწონა კრებამ, მაგრამ უთანხმოება ხმოსანთა შორის გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ზოგნი ამბობდნენ—ავთანდილოვის სარჩიელი შეიმუშავოს ქალაქის ექიმთა საბჭომაო, ზოგნი-კი წინააღმდეგნი იყვნენ ექიმთა საბჭოსი, რადგან ამას ბევრი საქმე აქვს და ვერ შეიმუშავებსო, ამიტომ ემჯობინება შესდგეს კომისია ხმოსან ექიმთა, რომელთაც უნდა წარმოადგინონ თავიანთი აზრიო. შემდეგ ხანგრძლივის ბაასისა, საბჭომ გარდასწყვიტა—გადაეცეს განსაკუთრებულს კომისიას ექიმებისასო.

რაიცა შეეხება გამგეობის მოხსენებას თამამშოვის ქარვასლის თაობაზედ, ეს საგანი საყურადღებოა იმითი, რომ მოხსენებაში ნაამბობია მთელი ისტორია ამ ქარვასლის. საქმიდგანა სჩანს, რომ 1846 წელს მთავარ-მართებელმა თავადმა ვარანცოვმა განიზრახა სახელმწიფო თეატრის აშენება. მოწონებულ იქმნა ერევნის მოედანი. შეჰპირდნენ გაბრიელ თამამშოვს, რომ უკეთუ იგი ააშენებს თეატრს, მას დაუთმობენ 2375 საქალაქო მიწას იმ უფლებით, რომ თეატრის გარშემო ქარვასლა გაუკეთოს თავის სასარგებლოდ. 1855 წელს შენობა გათავებული იყო და თამამშოვს დაუმტკიცეს მამული. შემდეგ 15 წლისა, თამამშოვებმა მოიწადინეს ქარვასლის გარშემო გაეწივნათ შენობები, და სთხოვეს ქალაქის გამგეობას ნებართვა. გამგეობამ ნება არ მისცა—ეგ ადგილი საქალაქოაო. წელსაც სთხოვეს გამგეობას, მაგრამ ამან არ მისცა ნება იმავ მიზეზისა გამო. თამამშოვებმა მიჰმართეს საგუბერნიო მართველობას, რომელმაც დაამტკიცა მათი გეგმა. ამ დამტკიცების გამო თამამშოვები შეუდგნენ ქარვასლის გაფართოვებას და დაიჭირეს საქალაქო მიწა 170 საჟენი. ეხლა გამგეობა ურჩევს საბჭოს, რომ დანიშნოს იურისტთა კომისია განსახილველად იმისა, დაუკარგავს ქალაქს ვადა თუ შეუძლიან სიმართლით გაიტანოს მამულიო. ამასთანავე გამგეობა ურჩევდა საბჭოს, რომ მთავრობას მიართვას ქაღალდი და სთხოვოს, რომ შემდეგში ... ნება არა ჰქონდეს შენობების გეგმათა დამტკიცებისა, ვიდრე არ დაეკითხება გამგეობასაო. ორივე რჩევა გამგეობისა შეიწყნარა საბჭომ.

*** თამბაქოს მომყვანთა კრებამ შესაძლებელად დაინახა: იმათ, ვისაც ბევრი თამბაქო მოჰყავს, მისცეს ხოლმე სესხი სახელმწიფო ბანკიდგან თამბაქოს დაგირავებით.

*** სოფ. მცხეთა: 16 ოქტომბერს ბ-ნ გორნიჩის მამულში მდებარე ეკკლესია, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც განაახლეს და აკურთხეს, ვიღაც ბოროტის მოქმედთ გასტეხეს და წაიღეს ეკკლესიის ნივთეულობა და სამკაული. ეჭვი ჯერ ვერავიზედ მიუტანიათ. გამოძიება სწარმოებს.

—

**შეცდომის გასწორება:** გუშინდელს ნომერში გაზეთის შეკვრის დროს კაბადონებად, ერთი სტრიქონი ფელეტონისა შეცდომით მოჰყოლია მეორე ახალ ამბავში მესამე სტრიქონად. ეს სტრიქონი უნდა ყოფილიყო ფელეტონის მეორე სვეტში მეშვიდე სტრიქონად.

## ფელეტონი

### სოფლის გაძლიერება

„კვალის“ მე 41 №-ში წავიკითხეთ ბ-ნ გიორგი წერეთლის წერილი „სწავლის საქმე ჩვენში“, რომელშიაც პატივცემული ავტორი სრულიად უარ-ჰყოფს სოფლის „გაიძვერების“ გავლენას ხალხის პროგრესის შეფერხებაზედ. ჩვენ ვერ ვეთანხმებით ბ-ნ გ. წერეთლის მოსაზრებას ამ საგანზედ და ვეცდებით მაგალითებითაც დავასაბუთოთ, რომ, საუბედუროდ, ჯერ ჩვენი ხალხი კიდევ სოფლის გაიძვერა ექიმების, გაიძვერა „აბლოკატების“, გაიძვერა მკითხავების, გაიძვერა ორატორების, ერთის სიტყვით „გაიძვერების“ გავლენის ქვეშ არის. თქმა არ უნდა, ამ საგანზედ უმაგალითოდაც დაგვეთანხმება ყველა ის, ვისაც ერთი-ორი წელიც არის დაუყვია ჩვენს მდაბიო ხალხში და მის ძარღვის ცემისთვის გულ-დადებით თვალ-ყური უდევნებია. მაგრამ, რადგანაც ამ საგანზედ ჩვენა გვაქვს ლაპარაკი ისეთ ცნობილ ლიტერატორთან, როგორც ბრძანდება ბ-ნი გ. წერეთელი, საჭიროდ მიგვაჩნია მაგალითებით დავამტკიცოთ ის, რაც მას ჩვენს ხალხში ვერც-კი შეუმჩნევია (უფრო-კი „შეუმჩნევია“, მაგრამ მგონი „ივერიის“ საცოდავ კორრესპონდენტის გამოჯავრებით თვალს იხვევს ამ მოვლენის წინაშე).

„გაიძვერა იმიტომ არის გაიძვერა, რომ ის ხმა—მაღლა და ხალხში დღის სინათლეზე ვერ გამოჩნდება, რადგან ის ცრუ გზას ადგას და ვერას გააწყობს, თუ რომ თვით ხალხშიაც არ ტრიალებდეს ამ გვარი აზრი“-ო, ბრძანებს ბ-ნი გ. წერეთელი თავის წერილში. ეს მოსაზრება სწორედ იმასა ჰგავს, რომ ვსთქვათ: „ქურდი იმიტომ არის ქურდი, რომ ის ხალხში დღის სინათლეზედ ვერ იქურდებს და მაშასადამე ვერც ხალხს დააკლებს ვერაფერს, თუ თვითონ ხალხშიაც არ ტრიალებდეს ამ გვარი აზრიო“. აქ ხალხის ქურდობის დაწამებით „დამკლის უფალი“ ვერაფერს მოიგებს, რადგანაც მისთვის სულ ერთია, მგელმა წაიღო მისი საქონელი, თუ მგლის ფერმა ძაღლმა, მაგრამ ქურდები თავის სურვილს-კი მაინც ისრულებენ და საქმეც ის არის, რომ ეს ნამდვილი მოქმედება ისეთი ძლიერია, რომ მის წინააღმდეგ ასი და ათასი შეიარაღებული კაციც ხშირად ვერას ახერხებს. დიაღ, საქმეც ის არის, რომ „გაიძვერას ხალხში ხმა-მაღლა ლაპარაკიც“ არა სჭირდება და იმისი „ხმა-დაბლა“, ბნელაში ლაპარაკს ხშირად შეუძლიან ის, რაც „არა-გაიძვერაებს“ ხმა-მაღლა, დღის სინათლეზედ გრძნობით და საქმის სიყვარულით გამსჭვალულ სიტყვებს არ შეუძლიან.

მაგრამ რადგანაც ბ-ნ გ. წერეთლის წერილი მარტო სწავლის საქმეს შეეხება, ჩვენც ვეცდებით «სოფლის გაიძვერაების» გავლენა ჯერ მარტო სწავლის საქმეზედ დავასაბუთოთ. მაგალითებისთვის შორს არ დაგვჭირდება სიარული: ავიღოთ აქვე ახლო მდებარე კულაშის მრავალ-ვნებული ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი, რომლის ისტორიაც საკმაოდ დაანახვებს მკითხველებს გაიძვერაების დროშის ფარფაშს (სწავლის საქმეშიაც-კი).

როგორც „ივერიის“ მკითხველებმაც იციან, ამ სასწავლებელის საშუალო ალაგას გადატანის და ახალ შენობის აშენებისთვის ოთხჯერ იყო კულაში ყრილობა. პირველმა სამმა ყრილობამ უქმად ჩაიარა და მეოთხეზედ-კი ხალხმა თითქმის ერთ ხმად განაცხადა სურვილი სასწავლებლის გადატანაზედ; მხოლოდ საქმე იმაში იყო, რომ უნდა ამოერჩიათ კომმისია სასწავლებელის ალაგის ამოსარჩევად. საქმის კეთილად დაბოლოვებაში ეჭვი არავის ჰქონდა, მაგრამ, რომ უფრო წაექეზებინათ ხალხი ამ კეთილ საქმეზედ, თ. მელქისედეკ მიქელაძემ და ადგილობრივმა ბლაღოჩინმა მ. კანდელაკმა მოიწადინეს სიტყვებით აეხსნათ ხალხისთვის სკოლების მნიშვნელობა. *)

*) სხვებიც ბევრნი იყვნენ საქმის გულ-შემატკივარნი, მაგრამ, რომ უფრო დავანახვოთ „კვალის“ წერილის პატივცემულ ავტორს «გაიძვერაების“ გავლენა ხალხზედ, ვასახ-

## ქართული თეატრი

სამშობლო, დრამა ხუთს მოქმედებად

წარსულს კვირას, 17 ოქტომბერს, ქართულ დრამატიულ დასის-მიერ წარმოდგენილი პიესა—„სამშობლო“ თითქმის ერთად-ერთი პიესაა მთელს ქართულის სცენის რეპერტუარში, რომელსაც ხალხი ყოველთვის სიამოვნებით ეტანება და რომლის წარმოდგენის დროსაც სათეატრო დარბაზი მართლა რომ სადღესასწაულო სახეს მიიღებს ხოლმე. ჩვეულებრივ თეატრშ, მოსიარულე საზოგადოებას გარდა, ამ დღეს ჰნახავთ ისეთს ხალხსაც, რომელიც მთელის სეზონის განმავლობაში ძნელად თუ ერთხელ, ან ორჯელ შევხვდეთ.

სათეატრო დარბაზი ამხანადაც სავსე იყო.

წარმოდგენაზე ბევრს არას ვიტყვით, რადგან „სამშობლო“ არა ერთხელ წარმოდგენილა ჩვენს სცენაზედ, იმავე არტისტთა მონაწილეობით, როგორც ამ ხანად. საჭიროდ ვრაცხთ მარტო კვლავ აღვნიშნოთ შეუდარებლად აღსრულება ლეონიძის როლისა ბ-ნის კ. ყიფიანისა და ქეთევანისა—ქ-ნ ავალიშვილის-მიერ. ბ-ნ სვიმონიძემ ლევან ხიმშიაშვილის როლი პირველს ოთხს მოქმედებაში გულ-ცივად ითამაშა, ხოლო მთელი მეხუთე მოქმედება-კი გრძნობითა და გატაცებით ჩაატარა. [illegible] მოდგენის წესისა და რიგისა, მოწყობა-მომართულობის შესახებ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთის მრავალ-მოქმედიან პიესისათვს, როგორიც არის „სამშობლო“, სადაც ერთმანეთში არეულია საქართველოს და სპარსეთის ჯარი, ხალხის გროვა, მუსიკის ხორო და სხ. ამ მხრივ-კი ვერ ითქმის, რომ წარმოდგენა უნაკლულო და წუნ-დაუდებელი ყოფილიყოს. პიესის მოწყობას ჩვეულებრივ ჰქონდა ის ნაკლი, რომელიც არა ერთხელ აღნიშნულა გაზეთებში,—რომ ათი სპარსელი მეტეხის ციხეში ორმოცს თავ-შეყრილს, შეიარაღებულს ქართველს აპატიმრებს და ატყვევებს. რა უნდა იფიქროს იმ ქართველის ქებულ და დიდებულ მამაცობისა და ვაჟკაცობის შესახებ მაყურებელმა, როდესაც ჰხედავს, რომ ერთი ცინგლიანი სპარსელი ხუთს ხმალ-ხანჯლით შეიარაღებულს ქართველს ატყვევებს?! რა, იმის მეტი, დიდი ლაჩარი და მხდალი ყოფილან ქართველებიო?'. ამას გარდა პაწია როლების, შაჰის მხლებლების აღმასრულებლებს რომ უკეთ სცოდნოდათ თავ-თავისი როლი, კარგი იქნებოდა, რადგან უამისოდ სცენიდგან ხშირად უცნაური ლაპარაკი მოისმოდა. მაგალითებრ, შაჰი ჰკითხავს ისმაილ-ბეგის როლის აღმასრულებელს, ვაჭრობაზედ უარის მთქმელ მედუქნეებს რა უყავითო და ის უპასუხებს, დავარჩეთ და ორმოში ჩავყარეთო, თუმცა სიტყვა „დავარჩეთ“ არ უნდა ეთქვა. ამ სიტყვის უადგილოდ ხმარებას-კი ის მოჰყვა, რომ შაჰმა განკარგულება გასცა, ამოიყვანეთ ის მედუქნეები (დარჩობილები?) და თავ-თავისის დუქნის წინ ჩამოარჩეთო. ამ დარჩობილების ჩამორჩობამ საზოგადოებაში სიცილი გამოიწვია, რაც არაფრად სასიამოვნოა და სასურველია, რომ შემდეგში აცილებულ იქმნას ასეთი უადგილოდ სიცილის ამტეხი და გამომწვევი მიზეზი. არა ერთისა და ორის ამისთანა მაგალითის მოყვანა შეგვეძლო, მაგრამ ამასაც საკმარისად ვრაცხთ.

გარდახვეწილი

## შემოწირულობა

უგულითადესს მადლობას ვუძღვნი იმათ, რომელთაც ჩემის ხარჯით დაარსებულ საეკკლესიო სამრევლო სკოლას საჭილაო-ნაჩხეტაურში (დ. სამტრედიის მახლობლად) აღმოუჩინეს შემწეობა სასკოლო უფასო ბი- [illegible] ნესტორ კ. ინალიშვილმა 3 მ., ნოე ლ. კორძაიამ 3 მ., მიხეილ კვინიხიძემ წიგ. 3 მ., ონისიმე ს. ნიკოლაიშვილმა წიგ. 3 მ., სოლომონ ე. კორძაიამ 2 მ., ალექსი ი. ალანიამ წიგ. 2 მ., ანდრია ლოლუამ წიგ. 1 მ. 60 კ., ნიკოლოზ ე. სტურუამ წიგ. 1 მ. 60 კ., კოსტანტინე დ. შენგელიამ წიგ. 1 მ. 50 კ., გიორგი თოფურიძემ 1 მ., იოსებ ლოლობერიძემ 1 მ., ბესარიონ კაკაბაძემ 1 მ., სტეფანე პ. სტურუამ 1 მ., კოსტანტინე ვაჩეიშვილმა 1 მ., დოქ. მესხმა 1 მ., ტარასი ასათიანმა 1 მ., ყარამან პ. ნანეიშვილმა 1 მ., დათიკო ა. გაბაშვილმა 1 მ., მიხეილ ქაგაროვმა 1 მ., კოსტანტინე რუხაძემ 1 მ., ნიკოლოზ ჭანტურიამ 1 მ., სილოვან კიღურაძემ წიგ. 1 მ., იოაკიმე გრიგოლიამ წიგ. 80 კ., ბეჟან ასათიანმა 50 კ., ნიკო აგიაშვილმა 50 კ., სამსონ ბოკერიამ 50 კ., კოსტანტინე ბახტაძემ წიგ. 50 კ., ნესტორ ბრელიძემ 50 კ., სტეფანე ი. ქარქაშვილმა 50 კ., სოლომონ მიქაძემ 40 კ. და სხვ.

მასწავლებელი რაჟდენ გოგოტიშვილი

## თავადი ვიაზემსკი ჩაქვში

თავადი ვიაზემსკი მოვიდა ბათუმს ყირიმიდგან. ბათუმში თავადს დახვდა კავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორი კლინგენი, ბათუმის ოლქის უფროსი და სხვანი მრავალნი. ბათუმიდგან თ. ვიაზემსკი და მასთან მყოფნი მატარებლით გაემგზავრენ ჩაქვისაკენ. მატარებელი ს. მახინჯაურში გაჩერდა და აქედგან ცხენებით შევყევით ჩაქვის მიდამოს დასავლელად. ამ ადგილებში მოსახლობენ ბეგები—ბეჟანიშვილები; ქართველი მაჰმადიანები, რომელნიც აქა-იქ არიან ჩასახლებულნი სამ-ოთხ-კომლად; როგორც მითხრეს, მცხოვრებთა რიცხვი ას-ოთხმოც მოსახლემდის არისო სულ ამ ადგილებში. ბევრგან თავად ვიაზემსკიმ შეუხვია და ინახულა აქაური მცხოვრებთა ეზო და მოსახლობა. სახლ-კარი კარგები აქვთ, ეზოში თითქმის ყველგან მრავალი ხეხილია გაშენებული; ზოგან ვენახებიც აქვთ და მრავალი ფორთოხალის ხეები სდგას, ძლიერ მოსხმული კარგის ღირსების ფორთოხლითა. ჩვენ საღამომდის ვიარეთ სულ ჩაქვის მიდამოს შეყოლება, თითქმის ოც ვერსამდის მთა-მთა, ასე რომ რვაას ფუტამდე სიმაღლეზე ავედით. მახინჯაურიდგან კარგა დიდ მანძილზედ არის ახალი გზა გაყვანილი. მას შემდეგ ძველი თათრის საცხენოსნო გზაა; ეს გზა გადადის აჭარისაკენ.

აქაურმა სხვა-და-სხვა გვარმა სანა- [illegible], რომელიც თითქო განგებ არის, როგორც ვარდის კონა, ისე შეკრული, ვიაზემსკი დიდად გააკვირვა. ჩაქვის მიდამო სავსეა იმ გვარის მცენარეებით, რომელსაც სხვა ქვეყნებში მხოლოდ სახლსა და ორანჟერიებში თუ ჰნახავთ, მრავლად არის აქეთ როდოდენდრონი, სხვა-და-სხვა გვარის დაფნის ხე, მასთან ბზა და სხვ. მათ შორის ბევრია ხეხილიცა. ზოგი მათგანი ისეა მოსხმული, რომ ტოტები ვერ იმაგრებს: ვაშლსა, მსხალსა, ატამსა და ნიგოზს. გარდა ამისა, შეხვდებით უზარმაზარ ასის წლის ცაცხვებს, მუხებს, რცხილას, წიფელას, ძელქვასა და ურთხელას. ყველა ესენი ერთად არის არეული მიდამოზე და სასიამოვნო სანახაობას წარმოადგენს. აი ამ ადგილებში არიან ჩასახლებულნი ქართველი მაჰმადიანები. ამათში ყველა მშვენივრად ლაპარაკობს ქართულს. შემოგჩივლებენ კიდეც მეტადრე ბეგები, რომ ჩვენს მიწებსა და ტყეებს, რომელსაც ხელობდნენ ჩვენი მამა-პაპანი, გვართმევენ და მუდმივმა საჩივარმა და სასამართლოში თრევამ თავი მოგვაბეზრა, ასე რომ საუმჯობესოდ მიგვაჩნია გადასახლება სათათრეთშიო. აქ მოჰყავთ სიმიდი, ღომი და უფრო ხშირად ბრინჯი; ამასთან მისდევენ ფუტკრის მოშენებას და პირუტყვისას. თავადი ვიაზემსკი, სადაც ცხენით არ შეიძლებოდა სიარული, იქ ფეხით დადიოდა და ხშირად იღებდა ფოტოგრაფიით არემარეს სურათს. საღამომდის ასე ვიარეთ და საღამოზედ დავბრუნდით ბეჟანიშვილის საზაფხულო სამოსახლოში. აქ მასპინძელი ძალიან კარგად დაუხვდა უცხო სტუმრებს. დილით ადრე ისევ გამოვემგზავრეთ ჩაქვის სადგურისაკენ. ეს ადგილები სულ თექვსმეტი ათასი დესეტინაა და უნდათ საუფლისწულოდ შეისყიდონ ხაზინისაგან, და გააშენონ ჩაის პლანტაცია. კლინგენი, რომელსაც შეუსწავლია ჩაის გაშენება ჩინეთსა, იაპონიაში, ცეილონში და ინდოეთში, ამტკიცებს, რომ ეს ადგილები ემზგავსება იმ ადგილებს, სადაც მოჰყავთ ჩაიო და დარწმუნებული ვარ, რომ ჩაქვის მიდამოში თითქმის უკეთესი ჩაი მოვა, ვიდრე სხვა ქვეყნებში, მით უმეტეს, რომ ამ ადგილებს ზენა ქარი აქვს აცილებული სხვა და სხვა გორებითა და ტყეებით, რომელსაც უნდა დიდი ყურადღება მიექცეს და არ უნდა გაიკაფოსო.

ჩაქვის სადგურის მახლობლად არის ქუთაისის გიმნაზიის დირექტორის მამული, რომელსაც გაუშენებია მშვენიერი „პარკი“. ეს მამული, მგონი, ორმოცდა ათამდე დესეტინა უნდა იყოს; აგრეთვე დავიარეთ დალფონსის მამული და იქაც ვნახეთ მრავალ-გვარი მცენარეები, იმ ნაირი, რომელიც ხეირობს ძალიან თბილ ქვეყნებში. დალფონსს აქვს საბაყილო და ბლომადაც ჰყიდის ყოველ გვარის მცენარის ნერგსა და ბაყილოს. საღამოზედ ვნახეთ პოლკოვნიკ სტოიანოვის დაჩა, რომელსაც ეს სამი წელიწადია დაუწყია ჩაის მოყვანა. ვნახეთ ხუთი ათასი ძირამდის აჰყვავებული ჩაის ბუჩქი, მაგრამ ყვავილი ძველი იყო, ამ წელს არ მოუკრეფიათ; ამის გამო, როგორც თითონ სოლოვცოვი ჰხსნის, ამ ყვავილს და ფურცელს ჩაის სუნი არა აქვს; რომელიც-კი მოვკრიფეთ შარშან, კარგი იყოვო; ამას გარდა სტოიანოვს აქვს ორმოც ათას ძირამდე თესლით ამოსული ჩაის ნერგი. მომავალ წელს აპირებს ჩაის მოკრეფას და მაშინ ვნახავთ, რამდენად კარგის ღირსებისა იქნება აქაური ჩაი; ეს არის მხოლოდ, რომ ძალიან ოსტატი კაცი უნდა მის მოკრეფას და შენახვას, თორემ თუ ჩაის რაიმე დააკლდა, ყოველს გვარს თავის ღირსებას დაჰკარგავს. საღამოს სოლოვცოვმა მიიწვია თ. დი ვიაზემსკი და გაუმასპინძლდა. აქ ბევრი იმედები წარმოითქვა ამ საქმის განხორციელების შესახებ. ვიაზემსკის ისე მოსწონს ეს ადგილები და ისე მონდომებულია, თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანოს, რომ ყოველს ღონეს იხმარს, საქმე დაწყებულ იქმნას ჩქარა. ამისათვის ბ-ნ კლინგენს და სამს ნასწავლს კაცს ჰგზავნის განმეორებით ჩინეთს, იაპონიას, ინდოეთს და ცეილონზე, რომ უფრო კარგად და მტკიცედ შეისწავლონ ჩაის მოყვანის საქმე. ისინი წავლენ პირველ იანვრიდგან და დაჰყოფენ იქ ერთს წელიწადსა და ორს თვეს; მერე წამოიღებენ სხვა-და-სხვა გვარის ჩაის ნერგს, ჩამოიყვანენ ჩინელ ოსტატებს და შეუდგებიან ჩაქვის მიდამოში ჩაის პლანტაციის გაშენებას. გარდა ამ ადგილებისა, ამ მოკლე ხანში სურთ დაათვალიერონ: იმერეთი, სამეგრელო, გურია და აფხაზეთი, რომ იქაც შეიგულონ ისეთი მამულები, სადაც უფრო ადვილად შეიძლება ჩაის გაშენება შემდეგისათვის.

(დასასრული იქნება)

გიორგი ჩიჩუა

## რუსეთი

პოლონური გაზეთები იუწყებიან, რომ ამ ჟამად დიდ-ძალი პური მიაქვთ პრუსიის საზღვრებისკენ. ბევრი პური მიდის რკინის გზით კოველიდგან ვარშავაზე მლავაში, რისგამოც რკინის გზის მმართველობამ ხუთი მატარებელი კიდევ მოუმატა, რომლებითაც პური ყოველ დღე მიაქვთ. ამ ჟამად ამ რკინის გზით ყოველ დღე 30 ვაგონი მიდის პურით დატვირთული. იმავე გაზეთების სიტყვით, 1894 წლიდგან აღკრძალულ იქნება სარწყაოთი ხორბლის გაყიდვა და წონით უნდა გაიყიდოს. დამნაშავენი ამ საქმეში სამართალში იქმნებიან მიცემულნი.

—

ტვერის მაზრის საერო კრებამ შარ-

---

ხალხი მართლაც გატაცებით უსმენდა მ. ბლაღოჩინს, მაგრამ ნახევრამდისაც არ დაემთავრებინა ლაპარაკი, რომ ხალხში მოისმა რამდენიმე ხმა: „ნუ იწუხებთ, ბატონო, თავს! ჩვენც-კი ვიცით, რომ სწავლა კარგია, მაგრამ შეძლება არა გვაქვს და ამიტომ არ გვინდაო“. ეს რამდენი' ამე კაცის წარმოთქმული სიტყვები საკმაო იყო, რომ ხალხი შეჩოჩქოლებულიყო და გაემეორებია ეს გაიძვერაების სიტყვები. „არ გვინდა, არ გვინდა!—გაიძახოდა ხალხი,—ჩვენ უმაგისოდაც ვერ ავდივართ ათას ნაირ გარდასახადს!“ აქ «გაიძვერები» რა მოსატანია? აქ ხალხის სურვილია და არა გაიძვერებისა, შეიძლება გვიბრძანოს ვინმემ, მაგრამ აქ გაიძვერაები იმიტომ არიან მოსატანი, რომ ხალხი თანახმა იყო სკოლის განკარგებისა, მაგრამ სწორედ იმ რამდენიმე „გაიძვერამ“, რომელთაც, რასაკვირველია, პირად ინტერესების გამო, არ უნდოდათ სწავლის საქმის განკარგება თავის სოფელში, რა დაინახეს, რომ ხალხი სურვილს აცხადებს სასწავლებლის გაკეთებისას. სცადეს თავისი „ხმა-დაბალი, ბნელში სახმარი ენა“ და კიდეც გაიმარჯვეს. იმავე ყრილობაზედ ჩვენის თვალით ვნახეთ, რომ ერთ გაიძვერა ვაჟბატონს გაეყვანა განზედ რამდენიმე გლეხი და დიდის მჭევრ—მეტყველებით უმტკიცებდა სკოლის არარაობას: რა ღმერთი გიწყრებათ, თქვენ ოჯახდაქცეულო, ჩემო მტერო? ამდენის ხნის კაცებს ჰკუა არა გაქვთ, რომ ხელს უწერთ «პრიგოვორზედ“? ჩაგაწერენ კისერში ათხუთმეტ თუმანს და უყარე მერე კაკალი. ძაან კი ენაღვლება თქვენი გაჭირვება „პრისტავსა“ და „დირექტორს“. ძაან საჭირო კია ჰაგენის შკოლა? შკოლა, თვარა ტიპიკონი არ ასწავლონ თქვენს შვილებს! **)“ რასაკვირველია, ასეთი გაიძვერები ერთი და ორი არ იქმნებოდა და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ხალხმა უარი განაცხადა სკოლის განკარგებისა.

აქ შეიძლება ბ-ნ გ. წერეთელმა ხელახლად გაგვიმეოროს თავისი სიტყვები: «ალბად ეხლანდელ სკოლის ხალხისთვის იმდენი პრაქტიკული სარგებლობა არ მიუცია, რომ ყმაწვილების მოცდენად ღირდეს“-ო, მაგრამ ამ სიტყვებზედ ჩვენ მხოლოდ ზემოხსენებულ კუთაში მაგალითით ვაგებთ პასუხს. ეს მაგალითი ცხადად გვაჩვენებს, რომ სკოლის განკარგების უარის განცხადება ხალხის-მიერ მხოლოდ გაიძვერაების ბრალი იყო, თორემ ხალხმა თვისი სურვილი წინადვე გამოაცხადა, გვინდა კარგი სკოლა გვქონდესო.

ჩვენ არა ერთხელ დავსწრებივართ სოფლის მამასახლისების არჩევანებს და ყოველთვის ბ-ნ გიორგი წერეთლის აზრის წინააღმდეგი ამბები გვინახავს. არა ერთხელ მომხდარა, რომ საზოგადოების ხმის უმეტესობით აურჩევია მამასახლისად ერთი რომელიმე კანდიდატი; დაუწყვიათ საზოგადო განაჩენზედ (პრიგავორზედ) ხელის მოწერა, მაგრამ რამდენიმე გამოცდილ გაიძვერას სიტყვებს ისე უმოქმედნია საზოგადოებაზედ, რომ ეს უკვე ამორჩეული კანდიდატი ისევ გაუშვებიათ და სხვა აურჩევიათ. რამდენიმე წლის წინად ამავე კუთაში საზოგადოებამ ისევ ძველი მამასახლისი ამოირჩია; სტაცეს ხელი ამ ხელახლად „გათეთრებულ“ მამასახლისს და მთელ ერთ საათს ხელით დაატარებდნენ, მაგრამ აქაც-კი საკმაო შეიქმნა გაიძვერაების „ხმა-დაბლა, ბნელში ლაპარაკი“, რომ ხელ-ახლად გაეშვებინათ ამორჩეული და სხვა ახალი აერჩიათ.

რამდენადაც ვიცით, ჩვენს ლიტერატურას ჯერ არც აქვს გამოკვლეული ბრბოს ფსიხოლოგია (массовая психологія), მაგრამ ეს მაინც ცხად ჭეშმარიტად მიგვაჩნია, რომ ხშირად ხალხი რაღაც ინსტინქტიურის მიბაძვით ჰხელმძღვანელობს. ყველა ჩვენგანს შეუნიშნავს, რომ გულ-უბრყვილო საზოგადოება მდი-

---

*) ლებთ მარტო ამათ, როგორც ხალხისგან უფრო პატივსაცემთ: პირველს, როგორც ხალხზედ გულ-შემატკივარ თავადს და მეორეს-კი, როგორც ბლაღოჩინ-მღვდელს და ხალხისაგან პატივცემულ მოძღვარს. ამათ მაინც უნდა გაემარჯვათ სოფლის გაიძვერაებზედ.

**) საუბედუროდ, უნდა მოვიხსენოთ, რომ ეს ჩვენი გაიძვერა ვაჟბატონი დიდის გვარის კაცის შვილი იყო, მდიდარი და თანაც მილიციის პრაპორშჩიკის პაგონებიც უმშვენებდა მხრებს.

შან გარდასწყვიტა წიგნთ-საცავი გაემართა რამდენსამე ადგილს, რომ იქიდგან საჭირო სახელმძღვანელოები გამოეტანათ ხოლმე მასწავლებლებს ეს აზრი დღემდე ვერ შესრულდა უფულობისა გამო. წელს იმავე კრებამ ურჩია ერობის გამგეობას საგუბერნიო ერობის წიგნთ-საცავიდგან გამოიტანოს საჭირო სახელმძღვანელოები ნისიად. წიგნთ-საცავი ოთხ ადგილს გაიმართება მაზრაში. შემდეგ ერობამ საჭიროდ დაინახა იყოლიოს ერთი მეტი მასწავლებელი, რომელიც ავადმყოფი მასწავლებლის ადგილს უნდა იჭერდეს. ამისათვის საერო განათლების ხარჯს კრებამ 300 მანეთი მოუმატა.

შარშან იმავე კრებამ გარდასწყვიტა სამეურნეო იარაღის საწყობი დავაარსოთო, მაგრამ ესეც ვერ ასრულდა უფულობისა გამო; მაშინ გადადებული 100 მანეთი მხოლოდ სახლის დაქირავებას მოუნდებოდა. ეხლა კრებამ იმ ფულს კიდევ 300 მან. დაუმატა.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ხელმწიფე იმპერატორმა დეპეშით სამძიმარი შეუთვალა მაკ-მაჰონის მეუღლეს. მაკ-მაჰონის ორთავე შვილნი მოვიდნენ შემდეგ მორენჰეიმთან და სთხოვეს მადლობა გამოეცხადებინა მის უდიდებულესობისათვის.

—

21 ოქტომბერს, პარიჟში, რუსეთის ესკადრის აფიცრები რომ ერთის მეჯლისიდგან დაბრუნდნენ, ხალხში ერთმა 67 წლის მოხუცმა რევოლვერი გაისროლა. ტყვია არავის მოხვედრია. მოხუცმა განაცხადა, ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ დიდი სირცხვილია უცხოელთათვის ამოდენა ფულის ხარჯვა, როცა თვით საფრანგეთში ბევრი გაჭირვებული ხალხი მოიპოვება. ოც-და-შვიდ წელიწადს რკინის გზაზედ ვმსახურობდიო, სთქვა მოხუცმა, სულ უბრალო საქმის გამო სამსახურიდგან დამითხოვეს. ხელ-მოკლეობის გამო ცოლ-შვილი დამეხოცა, დავრჩი ობლად ამ ქვეყანაზე და ეხლა გადავწყვიტე ჩემის საქციელით წინააღმდეგობა გამომეცხადა იმ უსამართლობის გამო, რომელიც სუფევს ჩვენს ქვეყანაში. ჰფიქრობენ, ეს საბრალო მოხუცი ჭკუაზედ არის შეშლილიო.

—

**იტალია.** რომიდგან იუწყებიან, რომ ადმირალი სეიმური სამის ინგლისის აფიცერით ღამის თორმეტ საათზედ მოვიდა ვივიანის დასაფლავებაზედ დასასწრებლად. ვაგზალზედ მიეგებნენ მთავრობის წარმომადგენელნი. სადგურიდგან რომ გამოდიოდნენ, ხალხმა ხმა-მაღლა გამოაცხადა სიხარული მათის მოსვლის გამო.

—

**შვეცია.** სწორედ იმ დღეს, როდესაც ქრისტიანიაში ნორვეგიის უმთავრეს ქალაქში მივიდნენ მეფე-დედოფალი, იქაურ რადიკალთა გაზეთ Verdenstang-ში დაბეჭდილი იყო ბიორნსტერნ—ბიორნსონის წერილი რომელშიაც ნათქვამია:

„გავრცელდა ხმა, რომ შვეციის მეფე სამთა კავშირს უერთდება და ეხლა ჩვენს მიმხრობასაც სცდილობენ. ზოგი ამბობს, რომ ეს ხმები უსაფუძვლოაო, ხოლო ჩვენთვის ეს სულ ერთია. ეჭვ-გარეშეა მხოლოდ, რომ შვეცია ისეთ შეიარაღებას შესდგომია, რომელიც აქნობამდე არ გაგონილა. თუ ჯერ სამთა კავშირს არ შეუერთდა, ეს შემდეგ მაინც უნდა მოხდეს. ჩვენ ყველამ ვიცით, რადაც. ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ჩვენთვის ულეერთი იყოს ფინლიანდიის სამწუხარო მდგომარეობა პირიქით, ჩვენ ის არ გვინდა მხოლოდ, რომ ფინლიანდია ჩვენ შემოგვიერთდეს. ჩვენ არ გვინდა რუსობა და არც ის გვინდა, რომ შვედები გავხდეთ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ შეიძლება ისეთი რამ მოხდეს, რასაც ვერავინ ვერ წინაალუდგება. თავის მოქმედებით შვეცია გზას უწმენდავს ასეთ მოვლენას“.

საყურადღებოა, რომ სწორედ იმავე დღეს, როცა ეს წერილი დაიბეჭდა, მეფე დაესწრო ბიორნსტირნე-ბიორნსონის პიესის წარმოდგენას ქრისტიანიის თეატრში.

—

**ავსტრი-უნგრეთი.** პარლამენტმა აირჩია კომისია იმ გარემოებათა განსახილველად, რამაც გამოიწვია გასაფრთხილებელ წესის გამოცხადება პრაგაში. კომისიაში 24 დეპუტატია Kölnische Zeitung იუწყება, რომ პოლონელთა და ჰოგენვარტის დასმა ხუთ-ხუთი დელეგატი ამოირჩიეს, რომელნიც მთავრობის მომხრენი იქმნებიანო. ჰოგენვარტის დასმა ერთი მთავრობის მოწინააღმდეგე დელეგატიც აირჩია—ხორვატელი კლაიჩი და ამას გარდა ერთი ადგილი მორავიის ჩეხებს დუათმო, რომელნიც აგრედვე მთავრობის მოწინააღმდეგენი არიან. გერმანელთა მემარცხენე დასის დეპუტატებიც, რომელთა რიცხვი რვაა, მთავრობის წინააღმდეგნი იქმნებიან, აგრედვე წინააღმდეგობას გაუწევენ გერმანელთა ნაციონალისტთა დასისა ერთი და ახალ-ჩეხებისა ორი დელეგატიც. ამ რიგად კომისიაში 13 წევრი მთავრობის მოწინააღმდეგეა, 10 მომხრე და ერთმა —გრაფ კორონინმა, ჯერ არ გამოაცხადა თავისი აზრი. ხოლო დიდ მეურნეთა წარმომადგენელთ, გაზეთ Politik-ის სიტყვით, კომისიის შედგენის დროს ოპოზიციის ორი კანდიდატი გააშავეს და მათ მაგიერ აარჩიეს ორი ზომიერ დასის კანდიდატი.

—

**ამერიკა.** ჩიკაგოდგან იწერებიან, რომ ებრაელთა ახალწელიწადის პირველ დღეს პირველი კრება მოხდა „სარწუნოებათა წარმომადგენელთა“. იმ დროს, როდესაც ებრაელთა სამლოცველოდგან საყვირის ხმა მოისმა, ჩიკაგოს გამოფენის მოედანზედ დარეკეს „ახალი ზარი თავისუფლებისა“. ზარი ათჯერ დარეკეს იმათ სარწმუნოების პატივ საცემლად, რომლებმაც დელეგატები გამოგზავნეს.

კონგრესს დაესწრნენ მრავალ სარწმუნოებათა წარმომადგენელნი: ქრისტიანობისა, ისლამისა, ბუდდასი, კონფუციისა და სხვა (კორესპონდენტი არ იწერება, მართლმადიდებელთაც გაჰგზავნეს წარმომადგენელი თუ არა).

კორესპონდენტი ამბობს: სარწმუნოებანი, რომელნიც წინად ერთიერთმანერთს სდევნიდნენ და ჟლეტდნენ ჯერ კეტით, მერე ხმლით და შუბით და ბოლოს თოფ-ზარბაზნით, ამ ჟამად პირველ კონფერენციასა ჰმართავენ იმ აზრით, რომ გაიცნონ ერთმანერთის სარწმუნოება, მათი ავი თუ კარგი. რითიც უნდა გათავდეს ეს კონფერენცია, სრულიად რომ არაფერში შეთანხმდნენ, მაინც ეს კრება უმნიშვნელოდ არ ჩაივლის მომავლისათვის“.

კრება რომ იწყებოდა, არ იცოდნენ, რა ლოცვა ეთქვათ, რომელ სარწმუნოებისა და რა ენაზედ. ბოლოს ისეთი ლოცვა შეადგინეს, რომ არც ერთს სარწმუნოებას არ ეწინააღმდეგებოდა. ლოცვა წაიკითხა ფრანგთა კარდინალმა, რომელსაც ძვირფასი მანტია ჰქონდა წამოსხმული და წითელი ქუდი ეხურა. კარდინალმა ხმა-მაღლა წაიკითხა საერთოდ შედგენილი ლოცვა და გულმოდგინედ ისმენდნენ ყველა სარწმუნოებათა წარმომადგენელნი.

## თეატრის მატიანე

—

ამას წინად პეტერბურგის თეატრში ითამაშეს ახალი დრამა „ბავშვი“, თხზულება ინგლისელისა ფრანგულ ცხოვრებიდგან. დრამა რუსულ ენაზედ არის გადმოთარგმნილი კ. ტარნოვსკის-მიერ. პიესის შინაარსი რთული არ არის. ახალგაზდა კეთილ ბარონს უყვარს გლეხის ქალი მადლენა, შვილიცა ჰყავს მისგან და ცოლად შერთვა უნდა. გამოჩნდება ერთი ავაზაკი ჟორჟ ბროკარი, რომელიც წინააღმდეგია ამ ქორწინებისა, რადგანაც განზრახვა აქვს ქვრივი ბარონესას, დედა ბარონისა შეირთოს, რომლის სიმდიდრესაც ამით ხელში ჩაიგდებს, თუ ვინიცობაა ახალგაზდა ბარონი უშვილოდ გარდაიცვალა. ბროკარის აზრით ბარონი მალე უნდა მოკვდეს, რადგანაც ძლიერ ავად არის. ამ განზრახვით ავაზაკი მოჰპარავს მადლენას ბავშვსა და ხევში გადააგდებს და თვით მადლენას-კი აბრალებს შვილის მოკვლას. ამ ცილის წამებით თავზარ დაცემული მადლენა ჭკუაზედ იშლება და სოფლიდგან გადიკარგება. სოფლის ექიმი როგორღაც შეიტყობს ამ ამბავს და ბროკარს სამართალში მისცემს. უკანასკნელ მოქმედებაში ბროკარსა და ქვრივ ბარონესსას თვით ახალგაზდა ბარონი ასამართლებს, რომელიც იმ ჟამად მოსამართლედ არის დანიშნული. სამართალშივე გამოჩნდება თვით მადლენაც, სრულიად მორჩენილი და თან მოჰყავს თავისი ცოცხალი შვილი, რომელიც ხევში ხეზედ ჩამოკიდებული და ერთს ახალგაზდა გლეხს გადაურჩენია. ბარონი, რა თქმა უნდა, მადლენას ამართლებს და ცოლად ირთავს, ხოლო ავაზაკს სიკვდილით დასჯის.

—

კორშის თეატრში მოსკოვს ითამაშეს ახალი პიესა მიხეევისა Ложные Итоги. პიესას ნაკლულევანებასთან ღირსებაცა აქვს და ავტორს დაკვირვების ნიჭი ეტყობა. შინაარსი პიესისა არც რთულია და არც ახალი: სვორიაჟინი მდიდარი კაცია, ბირჟაზედ დიდს საქმეებს აკეთებს და თავისი სავაჭრო კანტორა აქვს. სვორიაჟინის ცოლი ევგენია ეარშიყება ერთს ახალგაზდა კაცს გროტოვს, რომელიც იმის ქმრის კანტორაში მსახურებს. გროტოვი უყვარს ერთს მალხაზ ახალგაზდა გასათხოვარ ქალს, მილიონის პატრონს, ოლგას. ეს ოლგა სვორიაჟინს ეჭვს აღებინებს თავის ცოლზედ. ბირჟის კაცი, სვორიაჟინი, მეტად გამწარებულია და იჭვი რომ დაიხშოს, ერთს სახიფათო საქმეს იწყებს და მთელ თავის ქონებასა ჰკარგავს. გროტოვი ოლგას ირთავს. ევგენია ბოლოს დინჯდება, ქმრის მოსიყვარულე მეუღლედ გარდიქცევა და მასთან ეწევა სიღარიბის ჰაპანს.

### ჭადრაკი

მეცხრე პარტია ჭადრაკისა ჩიგორინმა წააგო. თამაშობა 8 საათს გაგრძელდა.

### უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ზოლას უთქვამს განსვენებულ მაკ-მაჰონზედ: მას შესახებ ჩემი აზრი შევადგინე საბუთის ქაღალდების შემწეობით. ამასთანავე ჩემს რომანში მაკ-მაჰონს დიდი ადგილი არ უჭირავს. ტყუილად მაბრალებენ, ვითომ მაკ-მაჰონზედ უსამართლოდ ვსჯიდე. იგი ყოველთვის პატიოსან და გულად კაცად მიმაჩნდა. განსვენებული ეკუთვნოდა იმ მეომართა დასს, რომელნიც კაჟკაცურად იბრძვიან და სიკვდილისა არ ეშინიათ. მაჯენტას ბრძოლის დროს მაკ-მაჰონმა თვით იკისრა მეთაურობა და შემდეგ თავ-მომწონედ ამბობდა: «მარჯვნივ მიბრძანეს წასვლა, მე მარცხნივ წაველი და მტერი დავამარცხე». სედანთანაც ასე უნდა მოქცეულიყო, მაგრამ აქ-კი დამარცხდა. არ ვიცი, დარჩა რამ მაკ-მაჰონს ხელთნაწერები, თუ არა, მაგრამ თუ დარჩა, ძლიერ საყურადღებო უნდა იყოს.

### ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

ოქტომბრის 18-ს ტფილისში ხოლერით ავად არავინ არ გამხდარა. გუშინ დილით რკინის გზის საავადმყოფოში მარტო 1 ავადმყოფი იყო.

ბაქოს გუბერნია

ოქტომბრის 16 ბაქოში ხოლერით ავად არავინ არ გამხდარა. მორჩა 1 ავადმყოფი და ოქტომბრის 17-ს დარჩა 6.

ერევნის გუბერნია

ერევნის გუბერნიაში 13 ოქტომ-

---

დრებს ჰბაძავს და მდიდრების სიტყვა მისთვის კანონია (გაიძვერებიც ხომ მდიდრები არიან?) ამ გულუბრყვილო საზოგადოებისთვის ვინც მდიდარია, ის ჭკვიანიც არის და სწავლულიც. რუსული ანდაზისა არ იყოს; „есть рубль—есть и умъ, а два рубля—два ума“-ო. აქაც ჭკუის საზომი „რუბლი“ გახლავთ. ამის შემდეგ განა საკვირველია, რომ სოფლის გაიძვერაებს გავლენა ჰქონდეს ხალხზედ? ილაპარაკა მდიდარმა გაიძვერამ ხალხში რომელსამე საგნის წინააღმდეგ და გათავდა! ხალხიც იმას გაიმეორებს. „შე კაცო! ჩვენი მდიდარი მეზობელი ჭკვიანია, თვარა მდიდარიც არ იქნება და, თუ ჭკვიანია, აბა საქმეც მაგან იცის, როგორა სჯობსო“, იტყვის ხალხი და იმეორებს მდიდარ გაიძვერას სიტყვებს.

აი სწორედ ამაზედა სთქვა პოეტმა:

„ერთმა ცხვარმა დაიბღავლა,
სხვებიც აჰყვენ, მისცეს ბანი;
ბღავიან და არ იციან
არც მიზეზი, არც საგანი.
არა შფოთვენ ანგარიშით,
არც შიშით, არც თავხედობით,
მხოლოდ ისე პირს აღებენ
ერთმანერთის წამხედრობით.

„გაიძვერა იმიტომაც გახლავთ გაიძვერა, რომ იმას კარგად აქვს შესწავლილი ხალხის სუსტი ხასიათი. გაიძვერამ კარგად იცის, რომ ხალხი ხშირად ჰხელმძღვანელობს „ერთმანეთის წამხედრობით“ და კიდეც ის გახლავთ მიზეზი, რომ ყოველთვის სარგებლობს ხალხის ამ გვარ თვისებით.

ძნელია კაცმა გადაწყვეტით სთქვას რა არის ამისი მიზეზი, მაგრამ ჩვენის აზრით-კი, გაიძვერაების დროშის ფარფაში აიხსნება იმ გარემოებით, რომ ეს „გაიძვერაები“ ხალხის ნამდვილი, ღვიძლი შვილები არიან, ხალხის სისხლნი და ხორცნი არიან; ხალხი იმათ ჰხედავს თავის გვერდით ჭირსა და ლხინში, მაშინ როდესაც ეგრედ-წოდებული ინტელიგენცია ხალხს უხვევს გვერდს, ხალხის ცხოვრებას ერიდება და ცალკე გასულა, ცალკე ბანაკად დაბინავებულა. ჩვენი სოფლის ინტელიგენცია არ სცხოვრობს იმ ხალხის ცხოვრებით, რომელშიაც მას წილად რგებია ყოფნა და მოქმედება; თითქოს ამ სოფლის ინტელიგენციას ხალხთან არაფერი ჰქონდეს საზოგადო და კიდეც ეგ გახლავთ მიზეზი, რომ ხალხი ჯერჯერობით ვერ მინდობია, ეჭვის თვალით უყურებს ყოველ მის მოქმედებას, მაშინ, როდესაც მდიდარ გაიძვერას სრული ავტორიტეტი აქვს გლეხ-კაცობაში მოპოვებული. სხვა ქვეყნებში რა მოგახსენოთ და ჩვენს ხალხში სოფლის ინტელიგენცია ჯერ ახალი ელემენტი გახლავთ, მაგრამ რადგანაც ხალხსა და ამ ელემენტს შორის ჯერ კიდევ ვერ გაბმულა მაგარი სულისა და გულის დამაკავშირებელი მავთულები, ხალხიც ვერ მინდობია მას და ქართულის ანდაზისა არ იყოს, ამ ახალ, შეუჩვეველ ლხინს, ისეთი ძველი, შეჩვეული ჭირი, ურჩევნია როგორიც არის სოფლის გაიძვერაები.

ამ ზემო აღნიშნულ გარემოებას შეჰნიშნავდა ყველა, ვისაც ხალხში უცხოვრია და მოუსურვებია ასე თუ ისე ხალხის ცხოვრების შესწავლა. ამასვე შეჰნიშნავდა ხალხში თვით პატივცემული გ. წერეთელიც, მაგრამ რას იზამთ: „აქლემები წაიკიდნენ, კოზაკი შუაში გასრისესო“, სწორედ ეს არის: „ივერიასა“ და „კვალს“ ერთმანერთის არა უთხზებათ რა და ამიტომ ისეთის საზოგადო ჭირისთვის, როგორიც არის „სოფლის გაიძვერაები“, გვერდი აუქცევია „კვალის“ წერილის პატივცემულ ავტორს. აგრედვე არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რომ ბ-ნ გ. წერეთლის-მიერ „ივერიის“ კორრესპონდენტის წინააღმდეგ გალაშქრება ჩვენ დონკიხოტისაგან ქარის წისქვილების დამსხვრევად მიგვაჩნია. აბა აქ კორრესპონდენტი რა დამნაშავეა? იმან მხოლოდ გადმოგვცა თვალით ნახული და ყურით ნასმენი ამბავი, იმ იმედით, რომ „ჩვენის ქვეყნის ბურჯები ამ ფაქტს საჭირო განმარტებას მისცემენ და ხალხს თავის უბედურების მიზეზზედ ხელს მიუთითებენო და ეს „ქვეყნის ბურჯები“-კი არ კმაყოფილდებიან ამით და კორრესპონდენტებს უბრძანებენ: „ამ კორრესპონდენციების წერას ისა სჯობდა საქმეს ჩაკვირვებოდი და კარგად მოგეგვარებიაო.“

რიონის-პირელი.

ბერს 19 ხოლერით ავადმყოფი იყო. ამ დღეს კიდევ ავად გახდა 2 კაცი, გარდაიცვალა 7 და ოქტომბრის 14-ს დარჩა 14 ავადმყოფი.

## გასართობი

—

ერთი მეურნე გახარებული მიეჭრა თავის მეგობარს და შესძახა:

— იცი, ვის ერგო პირველი ჯილდო პარუტყვთა გამოფენაზედ?

— არა, ვისა?

— მე მერგო.

—

მე ისეთი უბედური კარ, ამბობდა ხოლმე წმ. პარავი, — მექუდე რომ ვყოფილვიყავ, ადამიანი უთუოდ, უთავო დაიბადებოდაო.

—

თეატრში ერთს ძლიერ უსეიროდ და მილის მომგვრელ პიესას თამაშობდნენ. სუფლიორის არტისტს როლს ისე ჩუმად ეუბნებოდა, რომ არტისტს არა ესმოდეს-რა

— ხმა მაღლა მითხარ, დაუძახა არტისტმა, სულ ერთია, ყურს არავინ გვიგდებსო.

## გამოსადეგი ცნობანი

—

რამდენჯერ უნდა მოიწველოს ძროხა? მეტად საჭიროა იცოდეს ძროხის პატრონმა, რამდენჯერ უნდა მოიწველოს ძროხა, რომ რძე მეტიც იყოს და კარგის თვისებისაც. ბევრსა ჰგონია, ორჯერ რომ მოიწველოს ძროხა, დილა საღამოს, რძე თუმცა მეტი, მაგრამ თხელი იქმნებაო; პირიქით, ერთხელ რომ მოიწველოს, მართალია, რძე ცოტა, მაგრამ სქელი იქმნებაო, ისე, რომ ყველი თუ კარაქი იმდენივე ამოვა, რაც ერთი-ორად მეტ თხელ რძისაგანაო.

ეს აზრი უსაბუთო ყოფილა. დანიის პროფესორ როდეს უცდია ერთხელ, ორჯერ და სამჯერ მოწველა ძროხისა, გამოუკვლევია ყველა ამ შემთხვევაში რძის სისქე-სითხელე და იმ აზრს დასდგომია, რომ ძროხა არა ერთხელ და ორჯერ, არამედ სამჯერ უნდა მოიწველოსო. მაშინ რძე სქელიც იქმნება და მეტიცაო.

ეს აზრი უტყუარია თურმე, რადგანაც პროფესორი როდე ერთხელ ცდას არ დასჯერებია და რამდენჯერმე გაუმეორებია თავისი გამოკვლევა.

—

რანაირად უნდა მოიჭრას ხე, რომ შენობის მასალად კარგი იყოს? მოსაჭრელ ხეს ერთის წლის წინად კანი უნდა გადააძროთ გარშემო მიწის პირად, ერთის ხელის დადების ოდენა. ამის გამო ერთის წლის განმავლობაში ხე წინანდებულად ვეღარ საზრდოობს და გარეთა ნაწილი თანდათან მაგრდება და ხმება. მეორე წელს ხე ზამთარში უნდა მოიჭრას.

# დეპეშა

18 ოქტომბერი

**ვენა.** კანონ-პროექტების წინააღმდეგ ბრძოლამ პარლამენტში გამოიწვია შეერთება პარლამენტის სამის დასისა: გერმნულ ლიბერალთა, ჰოგენვარტის დასის კონსერვატორთა და პოლონელთა კლუბისა. ეს ბრძოლა მოასწავებდა ტააფეს სამინისტროს დათხოვნას, მაგრამ იმპერატორმა ამ დათხოვნის ქაღალდი არ მიიღო; მიუხედავად ამისა, დასები ლაპარაკობენ ახალ მინისტრ-პრეზიდენტის არჩევანებზედ. პარლამენტის კრებები გადიდო.

19 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** გუშინ ხელმწიფე იმპერატორმა მიიღო სერბიის დესპანი პაშიჩი.

პეტერბურგის ბირჟა, 15 ოქტომბ.

| | მყიდველთა. | გამყიდველთა. | გაყიდულთა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7,66 |
| ტრამოყნის კუპონები | — „ | — „ | 153½ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგებ ბილეთი . . . | — „ | — „ | 241½ |
| — მეორისა . . . | — „ | — „ | 216½ |
| 4% მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — „ | — „ | 192½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა 6% . . . . . | — „ | 100 | — „ |
| 5% . . . . . | — „ | 99 | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — „ | 100 | — „ |
| 5% . . . . . | — „ | 99 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | 98½ | — „ |

# განცხადებანი

უმაღლესს სასწავლებელში სწავლა დამთავრებული რეპეტიტორი ეძებს გაკვეთილებს ქართულ ოჯახში. ადრესი „ივერიის“ რედაქციაში.

(4—რ—1))




კბილის ექიმი

# ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—115)




„წერა-კითხვის საზოგადოების“

## წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა, . . . . . . . | „ | 20 |
| რავდენიმ მოთხრობა მისივე. . . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ, ი, მაჩაბელისა. . . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკა ი, ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . . | „ | 10 |

# გამოსადეგი ცნობანი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

**ვ. მ. ჩიქოვანი,** 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი,** 10½—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

**ი. ფ პროტასევიჩი,** 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

**ა. მ. კარაპეტიანცი,** 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

**ი. გ. ჩეპურკოვსკი,** 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

**ა. გურკო,** 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—7½ საათამდის.

**ე. ი. ფრანციუსი,** 7—7½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის — მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

# „ჩიკაგო“

წინანდელი სასტუმრო „დანია“ გადავიტანე 1 ოქტომბრიდგან 1893 წ. მოსე არუთინოვის სახლში, კადეტის კორპუსთან, გოლოვინის პროსპექტის ახლო, ქალაქის შუაგულს, სადაც დავაარსე ახალი **მოწყობილი ოთახები** სახელად **„ჩიკაგო“**

ყველა ოთახები მშვენიერად არის მოწყობილი. სამაგალითო სისუფთავეა. მოსამსახურე ზრდილობიანია და სწრაფი. ყველაფერი წესიერია.

## ფასი ოთახებისა

დღიურად 3 აბაზიდგან—3 მანეთამდე, თვიურად და წლობით ბევრით იაფად,

ნ. კოსკანოვი

(25—1018—1)



ახლად მოგონილი მაშინა „სლავა“ (დიდება), რომელიც უბრალო საწვავ ნავთით მოჰყავთ მოძრაობაში.

## ტურბინები

წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილებით სჯობია და 2-დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვს.

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ
10, рота, 16.



## წისქვილის თვლები

**თვლები** ხორბლის წმინდად დასაფქვავად, ქატო ბრტყელი იქმნება.

**ტურბინები** (წყალის ამომყვანი) და ნავთით მომუშავე მანქანები **„სლავა“** (დიდება).

В. В. Жуковскій С.-Петербургъ
10. рота, 16.

## სასაპარეო ესსენცია კოლლერისა

(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად

იარლიკზე უნდა იყოს ამომჯდარ ასოებით წითლად დაბეჭდილი

რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.